შპს „ნიავი“

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი“
დირექტორი: თ.კეპულაძე
მობ.: 5 91 15 72 72

შპს „ნიავი“
დირექტორი: გ. დეკანოიძე
მობ.: 5 51 88 83 33

ზესტაფონი 2022 წ.

შინაასი

1. შესავალი 2

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება 4

2.1. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მიმართ საწარმოს განთავსება. 14

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი 15

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი. 15

5. ობიექტის წყალმომარაგება წყალარინება 17

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 18

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება 18

6.2. ხმაურის ზემოქმედება 22

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე 24

6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე 25

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები 25

6.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე 28

6.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 28

6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .. 29

6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 30

6.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე 30

6.11. ავარიული რისკები 31

6.12. კუმულაციური ზემოქმედება 31

6.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება 34

7. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი 34

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 35

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 36

დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება. 37

დანართი 3. სამინისტროს 2022 წლის 12 იანვრის N206/01 წერილი. 40

დანართი 4. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 2022 წლის 09 თებერვლის N481/05 წერილი. 42

დანართი 5. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 15.03.2022 წლის N1111/05 წერილი. 44

დანართი 6. პასუხები გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილით გამოგზავნილ კითხვებზე 48

1. შესავალი

შპს „ნიავი”-ს (ს/კ 230040808) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე, ფ/პ გივი დეკანოიძისაგან იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 32.11.32.395) (დანართი 1 და 2) დაწყებული აქვს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევის აღდგენა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2017-2020 წლებში ფუნქციონირებდა შპს „ალპედე“-ს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, რომლისთვისაც შემუშავებული და 2017 წლის 07 აპრილს სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

2020 წელს საწარმოს ტერიტორია გადაკვეთა სახელმწიფო ელექრტოგადამცემი სისტემის 220 კვ ე.გ.ხ. „სურამი“-ს გადამცემმა ხაზმა. ობიექტის ინფრასტრუქტურის ნაწილი მოხვდა სახელმწიფო ელექტროსისტემის გადამცემი ხაზების გასხვისების ზოლში, მაღალი ძაბვის სადენების ქვეშ. სახელმწიფო ელექტროსისტემების სამმართველოს მოთხოვნით განხორციელდა სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის დემონტაჟი.

მიწის მფლობელის მიერ, დაიწყო არსებული საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილის სხვა ადგილზე გადამონტაჟება.

რადგან ბუნებრივი რესურსების გადამუშავება შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში, მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, კომპანიის მიერ მომზადდა სკრინინგის განაცხადი, რომელიც 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

სამინისტროს 12/01/2022 წ. N206/01 წერილით, კომპანიას გამოეგზავნა შენიშვნები, მათ შორის საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების სახელმწიფო ელექტროგადამცემი სისტემის 220 კვ ძაბვის ეგხ „სურამის“ დაცვის ზონაში განთავსებისა და „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმებთან თავსებადობის დაზუსტების, ასევე ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის პოზიციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ არსებული ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შეთანხმების მიზნით მიმართა სახელმწიფო ელექტროგადამცემი სისტემის ადმინისტრაციას, რომელთან შეთანხმებითაც დაზუსტდა ტერიტორია სადაც უნდა მოხდეს ტექნოლოგიური დანადგარების გადატანა (ინფორმაცია დეტალურად განხილულია 2.1. ქვეთავში).

რადგან, სკრინინგის გადაწყვეტილებამდე შპს ‘ნიავი’-ს დაწყებული ქონდა ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ კომპაიის

მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელზედაც იმსჯელა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ.

შენიშვნების გათვალისწინებით და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება, რომელიც 2022 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი იქნა სამინისტროში, ადმინისტრაციული საქმის წარმოების განახლების მიზნით.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 05/05/2022 N21/1494 წერილით კომპანიას გამოეგზავნა შენიშვნები, სკრინინგის განაცხადში ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით.

შპს „ნიავის“ მიერ დაზუსტებული იქნა წერილში გათვალისწინებული ყველა საკითხი, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა სკრინინგის განაცხადში (პასუხები მოცემულია დანართში ცხილის სახით).

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი ცნობები სწარმოს შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ოპერატორი კომპანია	შპს „ნიავი“
საიდენტიფიკაციო კოდი	230040808
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №217
ფაქტიური მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
საქმიანობის სახე	ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმო
დირექტორი	გივი დეკანოიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 51 88 83 33
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი სვირი
დაკავებული მიწის ნაკვეთი	ფ.პ. გივი დეკანოიძისაგან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი 32.11.32.395.)
საპროექტო წარმადობა წელიწადში	36 000 m^3 ქვიშა-ხრეშის მსხვრევა (64 800 ტ); მიღებული პროდუქცია 36 000m^3;
ქვისა-ხრეშის დამუშავების მეთოდი	მშრალი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8სთ
გამოყენებული რესურსები	
ქვიშა-ხრეში	მოპოვებული ლიცენზირებული კარიერებიდან
დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან	330 მ

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა და ტერიტორიის დახასიათება

საწარმო განთავსებულია კომპანიის დამფუძნებლისა და დირექტორის, გივი დეკანოიძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი 32.11.32.395, ფართობი 7 518 მ². ტერიტორიის მდებარეობა მოცემულია ნახაზზე 2.1.

ნაკვეთი მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე, ზესტაფონი - ბაღდათის საავტომობილო გზის მაჯვენა მხარეს, მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე.



ნახაზი 2.1. საწარმოს განთავსების ნაკვეთები.

ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება სვირი-როდინოულის საავტომობილო გზა, აღმოსავლეთით და დასავლეთით განთავსებულია შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (სურათები 2.1. და 2.2.). დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ზესტაფონის კომუნალური ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, ამჟამად შემორჩენილია ნანგრევები (სურათი2.3.), აღმოსავლეთით არსებული ტერიტორია თავისუფალია.

ჩრდილოეთით მდებარეობს სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი - თავისუფალი ტერიტორია (სურათი 2.4.). სამხრეთით მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში

არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია ავტოგასამართი სადგური და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთსართულიანი შენობა (სურათი 2.5.), ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს შპს „ალპედე“-ს საქმიანი ეზო.

სურათი2.1. ტერიტორიის აღმოსავლეთით გზა და მიწის ნაკვეთი

სურათი 2.2. ტერიტორია დასავლეთით

სურათი 2.3. ზესტაფონის კომუნალური ჩამდინარე წყლები გამწმენდის ტერიტორიაზე შემორჩენილი შენობების ნაწილები

სურათი 2.4 ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებული ტერიტორია



სურათი 2.5. აგს და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა

ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. პირველი სვირი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, უახლოსი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 330 მ-ით.

ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მიედინება მდ. ყვირილა, რომელიც ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 120 მ-ით.

უახლოესი ტყის კონტურიც სამხრეთ-დასავლეთითაა განთავსებული, 230 მ-ში.

ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზებზე 2.2. და 2.3.

სურათი 2.6. ხედი საწარმოს ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტის მიმართულებით.

32.11.32.153
32.11.32.153
32.11.32.153
32.11.32.153
32.11.32.153
32.00.079
32.11.32.264
სახელმწიფო საკუთრების
არასასოფლო-სამეურნეო
მიწის ნაკვეთი
32.11.31.032
32.11.31.032
შპს „გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანიის“
ყოფილი ზესტაფონის
კომუნალური ჩამდინარე წყლების
გამწმენდის ტერიტორია
220 კვ ე.გ.ხ. „სეირანი“
32.00.137
სვირი ოდიბოლოს საავტომობილო გზა
32.11.32.264
32.00.079
32.11.32.395
განსახილველი
ტერიტორია
32.11.31.032
32.11.31.032
32.11.32.154
32.00.573
32.11.32.364
ა.გ.ს.
32.11.32.154
მ-54
32.00.143
მ-54
32.11.31.032
32.11.31.005
32.11.31.041
32.11.31.032
32.00.143
32.00.079
32.00.573
32.11.31.306
შპს „ალ-პე-დე“-ს
საქმიანი ეზო
მ-54
32.00.079
ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზა
მდ. ყვირილა

ნახაზი 2.2.

32.11.32.153
საწარმოს
ტერიტორია
სვირი-როდინოულის
გზა
62.00.042
32.11.32.364
32.11.31.041
32.11.31.306
32.11.31.306
ზესტაფონი-
ბაღდათის
საავტომობილო გზა
120 მ
230 მ
330 მ
მდ. ყვირილა
32.11.34.123
32.11.34.122
32.11.34.190
200.15.15888
ტყის
კონტური
საცხოვრებელი
სახლი
სოფ. პირველი
სვირიი
62.00.042
მდ. ყვირილა

ნახაზი 2.3.

ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია მოცემულია 2.4 ნახაზზე, GPS კოორდინატები 2.1 ცხრილში.



ნახაზი 2.4. ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2.1.

№	წვეროთა GPS კოორდინატები	
	x	y
1	332522	4665224
2	332561	4665210
3	332555	466188
4	332543	4465157
5	332528	4665148
6	332549	4665115
7	332569	4665105
8	332582	4665130
9	332635	4665106
10	332634	4665116
11	332641	4665121
12	332630	4665150
13	332601	4665210
14	332590	4665228

სურათი 2.7. უახლოესი საწარმოო ობიექტები

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი მოქმედი საწარმოო ობიექტი - ავტოგასამართი სადგური განთავსებულია სამხრეთით, იგივე მიმართულებით საავტომობილო გზის მეორე მხარეს განთავსებულია შპს „ალპედე“-ს საქმიანი ეზო, სადაც მოწყობილია ბეტონისა კვანძი, ბეტონის ნაკეთობათა საამქრო, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი.

განსახილველი ტერიტორიის ირგვლივ განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თავისუფალი მიწის ნაკვეთები. ობიექტის 500 მ-იან რადიუსში არსებული საწარმოები და მიწის ნაკვეთები მოცემულია ნახაზზე 2.5.

ნახაზი 2.5.

ამჟამად ტერიტორიაზე შემორჩენილია ადრე არსებული წარმოების ნედლეულის მიმღები ბუნკერი, პანდუსი და ვიბროცხავი (სურათი 2.8.). ტერიტორიის აღმოსავლეთით შემორჩენილია გასულ საუკუნეში არსებული სასაწყობე შენობის ბეტონის კონსტრუქციები (სურათი 2.9.). ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებულია ახალი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟი (სურათი 2.10.).

სურათი 2.8. გაუქმებული საწარმოს მოწყობილობები

სურათი 2.9. ყოფილი სასაწყობე შენობის ბეტონისკონსტრუქციები

სურათი 2.10. დამონტაჟებული ტექნოლოგიური დანადგარები

2.1. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მიმართ საწარმოს განთავსება.

როგორც წინა პარაგრაფებში არის აღნიშნული, 2020 წელს საწარმოს ტერიტორია გადაკვეთა სახელმწიფო ელექრტოგადამცემი სისტემის 220 კვ ე.გ.ხ. „სურამი“-ს გადამცემმა ხაზმა (ნახაზი 2.2). ობიექტის ინფრასტრუქტურის ნაწილი მოხვდა სახელმწიფო ელექტროსისტემის გადამცემი ხაზების გასხვისების ზოლში. სახელმწიფო ელექტროსისტემების სამმართველოს მოთხოვნით განხორციელდა სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის დემონტაჟი. მიწის მფლობელის მიერ, დაიწყო არსებული საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების ნაწლის სხვა ადგილზე გადამონტაჟება. სამინისტროს მიერ 2022 წლის 12 იანვრის N206/01 წერილით (დანართი 3) გვეცნობა, რომ „სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმებთან თავსებადობის ინფორმაცია და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისემის პოზიცია მითითებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.“

აღნიშნულის შესახებ ჩვენს მიერ ეცნობა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების გენერალურ დირექტორს და მათი 2022 წლის 09 თებერვლის N481/05 წერილის საფუძველზე (დანართი 4) დაკორექტირდება ქვიშის სამსხვრევი ხაზის განთავსების ადგილი ისე, რომ სეგხ

დაცვის 25 მეტრიან ზონაში არ მოხდება დანადგარების განთავსება და ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა. მკვებავი ბუნკერი და ყბებიანი მსხვრევანა დაცვის ზონის საზღვრიდან დაშორებული იქნება 15 მ-ზე მეტი მანძილით (განთავსების კოორდინატები X-332576 ; Y-4665160), მაღალი ძაბვის განაპირა ხაზიდან კი 40 მ-ით. ანალოგიური მანძილით იქნება დაცილებული ლენტური ტრასპორტიორიც. ხაზის დაცვის ზონაში არ მოხდება მანქანა მექანიზმების გადაადგილება. საწამოს ტერიტორიაზე ტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა მოხდება ტერიტორიის სამხრეთიდან (ნახაზი 4.1), ისე რომ შეხება არ ექნება დაცვის 25 მ-ან ზონასთან.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 15.03.2022 წლის N1111/05 წერილით (დანართი 5) განისაზღვრა პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულების შემთხვევაში, სსე წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს N32.11.32.395 მიწის ნაკვეთებზე სამსხვრევი საწარმოს მშენებლობა ჩვენს მიერ გაგზავნილი კოორდინატების მიხედვით.ტექნოლოგიური დანადგარების ახალ ადგილზე გადატანა მოხდება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშახრეშის სამსხვრევი ხაზი, რომელიც შედგება მიმღები ბუნკერის, ერთი ყბებიანი სამსხვრევისა და ერთი ლენტური ტრანსპორტიორისაგან.

ობიექტის სამუშაო დღეთა რაოდენობა შეადგენს 250-ს წელიწადში. ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღეღამეში შეადგენს 8 სთ, წელიწადში 2 000 სთ.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 4 კაცს, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 36 000 $მ^3$ (64 800 ტ) ქვიშა-ხრეშის მსხვრევა წელიწადში, საათური მწარმოებლურობა შეადგენს 18 $მ^3$/სთ .

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.

ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშა-ხრეშის მიმღები ბუნკერი - პანდუსით, ყბებიანი (CM 7. 39) სამსხვრევი, ლენტური ტრანსპორტიორი, ნედლეულისა და ღორღის ბაქნები.

ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს მდინარის ქვიშა-ხრეშის შემოზიდვას ავტოთვითმცლელებით, რომელიც ავტოდამტვირთველით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში ან განთავსდება ნედლეულის ბაქანზე. ბუნკერიდან მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს. სამსხვრევიდან იყრება 12 მ სიგრძის ტრანსპორტიორის ლენტაზე, რომლითაც გადაიტანება და გროვდება ღორღის ბაქანზე.

ნედლეულის მიწოდება და პროდუქციის გადატვირთვა განხორციელდება ავტოდამტვირთველით. სხვა მოწყობილობები და დანადგარების საწარმოს არ აქვს გათვალისწინებული.

თანამშრომლების საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ავტოგასამართის მიმდებარედ არსებული საყოფაცხოვრებო-ადმინისტრაციული სათავსო.

საწარმოს ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია ნახაზზე 4.1. ხოლო ტექნოლოგიური პროცესის სქემა ნახაზზე 4.2.



ნახაზი 4.1. 1. მკვებავი ბუნკერი; 2. ყბებიანი მსხვრევანა; 3. ლენტური ტრანსპორტიორი; 4. პროდუქციის ბაქანი; 5. ნედლეულის ბაქანი. 6. არსებული „აგს“; 7. უფუნქციო შენობა.

ნახაზი 4.2. ტექნოლოგიური სქემა



5. ობიექტის წყალმომარაგება წყალარინება

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის.

სასმელი წყლის შეძენა მოხდება უახლოესი მარკეტებიდან. სამეურნეო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია ავტოგასამართის ტერიტორაზე, შემდეგ კოორდინატზე X-332516 Y-4665030 განთავსებული მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან, რომელზედაც შპს „ნიავი“-ს აღებული აქვს ლიცენზია.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 4 ადამიანი, დღეში 8 საათიანი რეჟიმით, სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 25×4=100 ლ. წელიწადში 100×250÷1 000=25 მ^3/წელ.

საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ქარიანი და ცხელი ამინდის შემთხვევაში ტერიტორიის დასანამად გაშხეფვით, ისე რომ არ წარმოიქმნას ჩამდინარე წყლები. 1მ^2 ტერიტორიის

დასანამად საჭირო იქნება 2,5-3ლ წყალი. საშუალოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წელიწადში ქარიანი და ცხელი დღეების რაოდენობა არის 60. დასანამი ტერიორიის ფართობი იქნება 300მ^2.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტექნიკური წყლის ხარჯი შეადგენს 300×1,5=900 ლ/დღე და 900×60×10^{-3}=54 მ^3/წელ.

ტექნიკური წყლის მოწოდება მოხდება მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან, ტუმბოს საშუალებით. ტერიტორიის დანამვა იწარმოებს ხელით რეზინის მილისა და გამშხეფის გამოყენებით.

თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება ავტოგასამართის ასენიზაციის ორმოში, რომლის მომსახურეობაც ხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოო პროცესებიდან ჩამდინარე წყალი არ წარმოიქმნება.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა განსახილველი საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (330 მ) და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეშის ყბებიანი სამსხვრევი.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევისას გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO_2-ის 20%-მდე შემცველობით. მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს (ნახაზი 6.1.):



ნახაზი 6.1.

- ნედლეულის განთავსება ბაქანზე (გ-1 წყარო);
- გაფრქვევა ნედლეულის ბაქნიდან (გ-2 წყარო);
- გაფრქვევა მადოზირებელ ბუნკერში ჩატვირთვისას (გ-3 წყარო);
- გაფრქვევა ყბებიანი მსხვრევანადან (გ- 4 წყარო);
- გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-5წყარო);
- გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ჩამოტვირთვისას (გ-6 წყარო);
- გაფრქვევა 0-40 ფრაქციის პოლიგონიდან (გ-7 წყარო);

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა საანგარიშო მეთოდიკების გამოყენებით. ანგარიში შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი-0,4.

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ბაქანზე განთავსებისას(გ-1 წყარო)**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ},$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ_ზე მეტის შმთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შმთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეიციენტია;

G - წარმადობაა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიცინტების მნიშვნელობები შემდეგია:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,1 ; B – 0,4 ; G – 32,4 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 1,0x 0,01x 0,4x 0,1x0,4 x 32,4 x 10^6 x 0,4/ 3600=0,001გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,001 x2000x 3600 /10^6=0,0072ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის პოლიგონიდან(გ-2 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ};$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ²წმ;

f =50 მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 50 x 0,4= 0,0037 გრ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,0037 x 2000 x 3600/10^6 = 0,0266 ტ/წელ

- **ნედლეულის მკვებავის ბუნკერში მიწოდებისას (გ-3 წყარო)**

ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება ხდება საანგარიშო კოეფიცინტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 0,1 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,2 ; B – 0,6 ; G –32,4 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 0,1x 0,01x 0,4 x 0,2x0,6 x 32,4x 10^6 x 0,4/ 3600=0,0003 გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,0003 x 2000x 3600 /10^6=0,0022 ტ/წელ

- **გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო)**

ყბებიან სამსხვრეველაში ხორციელდება მასის მშრალად მსხვრევა. შესაბამისად მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი იქნება 0,14კგ/ტ. სამსხვრეველაში გატარებული მასიდან მსხვრევას ექვემდებარება 60 %-მდე, რაც შეადგენს დაახლოებით 38 000ტ.

იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2 000-ს, მივიღებთ:

G=38 000x0,14x 0,4/10^3=2,128 ტ/წელ

M=2,128x10^6/2000x3600=0,2956 გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილებისას (გ– 5 წყარო).**

გაანგარიშება განხორციელდა ორი ლენტური ტრანსპორტიორის ერთდროული მუშაობისას.

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.} = W \times K. \times B \times L \times 10^3 \times 0,4$$

სადაც,

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ²წმ;

K - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტია და ტოლია 0,1 მ–ის;

B - ლენტის სიგანეა და ტოლია 0,6მ–ის;

L - ლენტის სიგრძეა და ტოლია 12 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვ} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,6 \times 12 \times 10^3 \times 0,4 = 0,0086$ გ/წმ

$G_{მტვ} = 0,0086 \times 2000 \times 3600/10^6 = 0,0619$ ტ/წელ;

- **გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ჩამოტვირთვისას (გ-6 წყარო);**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება საანგარიშო კოეფიცინტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 –0,5 ; K_5 - 0,1 ; K_7 – 0,5 ; K_9 – 1 ; B – 0,5 ; G – 32,4 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,5 \times 0,1 \times 0,5 \times 1,0 \times 0,5 \times 32,4 \times 10^6 \times 0,4/ 3600 = 0.081$ გ/წმ

$G_{მტვრ} = 0.081 \times 2000 \times 3600 /10^6 = 0,5832$ ტ/წელ

- **გაფრქვევა 0-40 ფრაქციის ბაქნიდან (გ-7 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$K_3 = 1,2$; $K_5 = 0,1$; $K_6 = 1,3$; $K_7 = 0,6$; $q = 0,002$; $f = 50$ მ²

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ} = 1,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 50 \times 0,4 = 0,0037$ გ/წმ

$G_{მტვრ.} = 0,0037 \times 2000 \times 3600/10^6 = 0,0266$ ტ/წელ.

ანგარიშიდან ჩანს,რომ გაფრქვევის ჯამური წამური ინტენსიობა შეადგენს 0,3939 გ/წმ, რაც ტოლია 1,418 კგ/სთ; აქედან გამომდინარე დღის განმავლობაში მოსალოდნელია საშუალოდ 11,4 კგ მტვერის გაფრქვევა. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს რომ ამ ოდენობით მტვრის გაფრქვევისას მიწისპირა კონცენტრაციები არ აჭარბებს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს.

6.2. ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს ერთი ყბებიანი სამსხვრეველა, რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 420 მ-ით (ნახაზი 6.2.).

ნახაზი 6.2.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები გამოითვლება ფორმულით:

$$L = Lp - 15\lg r + 10\lg \Phi - \beta r/1000 - 10\lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

Lp – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე, რომელიც ცხრილი 5-ს მიხედვით იგი ტოლია 85 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: Ω = 4π-სივრცეში განთავსებისას; Ω = 2π - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; Ω = π - ორ წიბოიან კუთხეში; Ω = π /2 – სამ წიბოიან კუთხეში;

β– ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

L= 85-15lg420+10 lg1–10,5x420/1000-10 lg12,56 =95-37,2-3,15-10,99=30,25 დბა

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. ამასთან დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების ჰიფსომეტრულად 28 მ-ით მაღალ ნიშნულზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით განთავსებულია ტყის კორომი, მდ. ყვირილას ხეობა, რაც ხელს უწყობს ხმაურის დონის შემცირებას 5-7 დეციბელით. საწარმოს ტერიტორიის საზღვარზე, დასახლებული პუნქტის მიმართულებით განთავსებულია კაპიტალური შენობა-ნაგებობები. ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში განსახილველი საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის №398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა). შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ხმაურით ზემოქმედება იქნება დაბალი.

საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმო განთავსებულია წლების წინ სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. მასზე განთავსებული იყო ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო.

ობიექტის აღდგენით არ მომხდარა ახალი ტერიტორიის ათვისება და არსებული გარემოს იერსახის მნიშვნელოვანი ცვლილება. მიმღები ბუნკერის მდებარეობა შეიცვალა 35 მ-ით. აღნიშნულის გათვალისწინებით ლანდშაფტზე ზემოქმედება არ მომხდარა.

ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული ხე-მცენარეები, 220 კვ. ე.გ.ხ. „სურამი“-ს მოწყობის შემდეგ ტერიტორია გამოიყენებოდა ნედლეულის ქვიშა-ხრეშის დასასაწყობებლად. ამდენად ობიექტის აღდგენა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოაქმედებას ვერ მოახდენდა.

რაც შეეხება საწარმოს ესპლუატაციის პროცესს, იგი არ გამოიწვევს მიმდებარედ არსებული მცენარეების დაზიანებას. ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია ცხოველთა და ფრინველთა ისეთი სახეობები, რომლებიც შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოსთან ახლოს ბინადრობას და მასზე დამატებითი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიომრავალფეროვნებაზე დამატებითი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

საწარმოს წყალი ესაჭიროება სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. წყალაღება მოხდება მიწისქვეშა ჰორიზონტიდან ლიცენზიის საფუძველზე.

როგორც მე-5 თავშია აღწერილი, სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 100 ლ/დღ, ხოლო საწარმოო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 900 ლ/დღე-ს. სულ წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 79 $მ^3$-ს.

ამ რაოდენობით წყლის აღება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე, ამასთან წყალსარგებლობისთვის გათვალისწინებული ჭა მდებარეობს მდ. ყვირილას კალაპოტიდან 150 მ-ის დაშორებით.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებიდან ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებს, მისი შეგროვება მოხდება აგს-ის ტერიტორიაზე მოწყობილი საასენიზაციო ორმოს საშუალებით. ორმოს მომსახურეობა გათვალისწინებულია ზესტაფონის კომუნალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორიის სანიაღვრე წყლებისაგან დაცვის მიზით მოწყობილია წყალამრიდები, საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში. სანიაღვრე წყალამრიდი არხები უზრუნველყოფს იმას, რომ ტერიტორიიდან არ მოხდება სანიაღვრე წყლის ნაკადის გადინება. ტერიტორია დაფარულია ქვიშა-ხრეშისა და ღორღის ფენით, რომელიც უზრუნველყოფს წვიმის წყლის გატარებას და გაფილტვრას. გრუნტში წყლის ჩაჟონვის დროს წყალს არ გაყვება შეწონილი ნივთიერებები.

ამდენად, საწარმოს წყალსარგებლობის მაჩვენებლების გათვალისწინებით წყლის რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები უნარჩენოა, ტექნოლოგიური პროცესის, ქვიშა-ხრეშის მსხვრევის შედეგად მიიღება ერთი ფრაქციის (0-40) ღორღი, რომელიც წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციას. მიუხედავად ამისა ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მანქანა-მოწყობილობების მომსახურეობისა და მიმდინარე შეკეთების დროს.

ნარჩენი შესაძლებელია იყოს ტრანსპორტიორის დაზიანებული ლენტი (07 02 12), ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები 15 02 02*) და რკინის ჯართი (16 01 17). ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (20 03 01). საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაცემის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება ააიპ

ზესტაფონის სპეციალურ სერვისებთან, რომლის მიერაც ტერიტორიაზე დადგმულია ნარჩენების სპეციალური კონტეინერი. ნარჩენების გატანა და პოლიგონზე განთავსება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული გრაფიკით. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენის სავარაუდო რაოდენობა და ინფორმაცია მისი შემდგომი მართვის შესახებ მოცემულია ცხრილში 7.1.

საწარმო ექსპლუატაციის ეტაპზე მოახდენს წარმოქმნილი და მოსალოდნელი ნარჩენების ინვენტარიზაციას, მათი წარმოქმნის შემთხვევაში დროებით უსაფრთხო განთავსებას დახურულ საცავში და შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე გადაცემას.

კომპანია ნარჩენების მართვას განახორციელებს ნაჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხრილი 7.1.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხავა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით	დიახ	H15	D10	6 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
	07 02 12	პლასტმასის ნარჩენი	არა	-	D1	10 კგ	გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას განთავსდება ზესტაფონის მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე
	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	200 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს
	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	D1	0,5 ტ.	გაიტანება ზესტაფონის ა(ა)იპ სპეციალური სერვისების მიერ და განთავსდება ზესტაფონის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე

6.6. ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე

საწარმოს მოწყობა განხორციელდა წლების განმავლობაში სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებულ ტერიტორიაზე. მასზე განთავსებული იყო იგივე პროფილის საწარმო და გამოიყენებოდა ქვიშა-ხრეშის დროებით საწყობად. ამდენად საწარმოს აღდგენით ნიადაგზე ზემოქმედება არ მომხდარა.

რაც შეეხება გრუნტის ხარისხზე უარყოფით გავლენას, აღნიშნული მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით, ან/და ნარჩენების არასათანადო მართვით გარემოს დაბინძურების შედეგად.

საწარმოში მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესები, ტერიტორიაზე არ დაიშვება გაუმართავი და ისეთი სატრანსპორტო საშუალებელი, რომლიდანაც ჟონავს ზეთი.

ამდენად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების დაცვის შემთხვევაში გრუნტის დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

6.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მიმდებარედ, რომლებზედაც სატრანსპორტო ნაკადები ინტენსიურია.

საქართველოში ტვირთების ტრანსპორტირება რეგულირდება საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“-თ, რომელთა შესაბამისად, საყარი ტვირთი ისე უნდა იქნეს დატვირთული, რომ მისი ტრანსპორტირებისას გამორიცხული იქნას გადმოყრის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული წესების კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო ტრანსპორტირების წესის დაცვა ევალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმომდე და საწარმოდან ტვირთების ტრანსპორტირება მოხდება ძარაგადახურული ტრანსპორტის გამოყენებით.

საწარმო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოფს ნაყარი ტვირთების გამგზავნის ყველა ვალდებულებას, მათ შორის:

- ავტოსატრანსპორტო საშუალება დატვირთული უნდა იქნეს ”საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

- საყარი ტვირთების გადაზიდვა, უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით.
- საყარი ტვირთების გადაზიდვისას მისი დატვირთვა-გადმოტვირთვა და განთავსება უნდა განხორციელდეს დამამზადებლის მიერ დადგენილი წესით.
- საყარი ტვირთი ისე უნდა იქნეს დატვირთული, რომ მისი ტრანსპორტირებისას გამორიცხული იქნას გადმოყრის შესაძლებლობა.
- ტვირთის გამგზავნმა, მექანიზირებული საშუალებებით საყარი ტვირთის დატვირთვისას უნდა გაითვალისწინოს, რომ ტვირთის მასა ამწე სატრანსპორტო მექანიზმის ციცხვით დატვირთვის ერთი ციკლისათვის არ უნდა აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობის 1/3-ს.

საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის შემოზიდვა განხორციელდება მდ. ყვირილას კალაპოტში არსებული კარიერებიდან. ლიცენზირებული კარიერიდან საწარმომდე მისასვლელი გზა არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

საწარმოს მაქსიმალური მწარმოებლურობის პირობებში მოსალოდნელია საათში ერთამდე გადაზიდვა, რაც ვერ მოახდენს მნიშველოვან გავლენას არსებული გზის სატრანსპორტო ნაკადებზე.

საწარმოს აღდგენა მოხდა მიმდებარე სოფლებში დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტების განსახორციელებლად, ამდენად საწარმოდან პროდუქციის გატანა დამატებით ნაკადებს არ შექმის. ამასთან, ტვირთების ტრანსპორტირების დროს დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“-ს მოთხოვნები.

6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

განსახილველი საწარმოს განთავსების ადგილის უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს აჯამეთის აღკვეთილი, ზურმუხტის ქსელი (მდებარეობს დასავლეთით ობიექტიდან 4,7 კმ მანძილის დაშორებით (ნახაზი 6.3). განსახილველი საწარმოს პროფილის, მასშტაბისა და დაცული ტერიტორიიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით, მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედებას, განსახილველი საწარმოდან 1 კმ-იან რადიუსში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობსი ძეგლები (უახლოესი არგვეთას დედაღვთისას ეკლესია განთავსებულია ჩრდიოლეთით 3 700 მ-ში). ამდენად მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ნახაზი 6.3.

6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყვის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოს მოწყობა დაიგეგმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების (საგზაო მშენებლობები) განხორციელებისათვის, რაც მნიშვნელოვნ როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით 4 ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

6.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქნება დაბალი.

6.11. ავარიული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჩართული მოწყობილობები იმდენად მცირეა (ერთი ყბებიანი სამსხვრევი და ერთი ტრანსპორტიორის ლენტა) ავარიის წარმოქმნისა და გავრცელების რისკი ძალიან დაბალია. მოწყობილობების ექსპლუატაციაში ჩართვა და მართვა მოხდება მართვის პანელიდან, რომელიც განთავსებულია დახურულ სათავსოში.

ტექნოლოგიური მოწყობილობების მომსახურეობისათვის (ნედლეულის მიწოდება, პროდუქციის გადატვირთვა) გამოყენებული იქნება ერთი ავტოდამტვირთველი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა არსებობს ავარიის წარმოქმნის რისკი, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან.

საწარმო შედის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში”, შესაბამისად ვალდებულია ექსპლუატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები. საწარმოს ყავს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო უსაფრთხოების წესების დაცვას, თანამშრომლებს სისტემატიურ ინსტრუქტაჟს, სახიფათო უბნებზე გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსებას, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას.

ტექნოლოგიური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების რისკი იქნება დაბალი.

6.12. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისისების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

როგორც მეორე პარაგრაფშია მოცემული, განსახილველი საწარმოს სამხრეთით ფუნქციონირებს შპს „ალპედეს“ საქმიანი ეზო, სადაც განთავსებულია ბეტონისა კვანძი, ბეტონის ნაკეთობათა და ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ობიექტები. აღნიშნულ ობიექტზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში ჯამური ეფექტის მქონე არაორგანული მტვრის (SiO_2-ის 20% -მდე შემცველობით) გამოყოფა. მოძიებული ინფორმაციით აღიშნული ობიექტიდან არაორგანული მტვრის გაფრქვევის წამური ინტენსიობა შეადგენს 0,8891 გ/წმ, ხოლო განსახილველი საწარმოდან შეადგენს 0,3939 გ/წმ. ორივე ობიექტიდან არაორგანული მტვრის ჯამური გაფრქვევა იქნება 1,283 გ/წმ. ეს იმდენად მცირეა, რომ არ გამოიწვევს მიწისპირა კონცენტრაციების გადაჭარბებას ზდკ-ს მნიშვნელობებთან. ამდენად ჰაერზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება დაბალი.

ნახაზი6.4.ხმაურის წყაროების მდებარეობა

როგორც 6.2 პარაგრაფში იყო მოცემული, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს ერთი ყბებიანი სამსხვრეველა, რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 420 მ-ით. უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფეროში ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის დონე შეადგენს 30,25 დბა-ს.

მიმდებარედ არსებული კუმულაციური ეფექტის მქონე საწარმოს მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხმაურის დონე შეადგენს 87 დბა-ს და იგი უახლოესი საცხოვრებლიდან დაშორებულია 300 მ-ით (ნახაზი 6.4). ამ შემთხვევაში საცხოვრებელ სახლთან ატმოსფეროში ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის დონე შეადგენს 35,66 დბა-ს.

(L=87-15lg300+10 lg1–10,5x300/1000-10 lg12,56 =87-37,2-3,15-10,99=35,66 დბა)

ხმაურის ჯამური დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L=L_{ə}+\Delta L \text{ დბა}$$

სადაც- L არის ხმაურის ჯამური დონე, დბა;

$L_{ə}$-წყაროებიდან მაქსიმალურის მნიშვნელობა, დბა;

ΔL-შემასწორებელი კოეფიციენტი,რომელიც დამოკიდებულია წყაროების დონეთა შორის სხვაობაზე და აიღება N18 ცხრილიდან (УДК 658.382(076)**Н.Н. Симакова, Т.В. Колбасенко, Л.П. Власова. Безопасность жизнедеятельности. Методические указания к практикуму/СибГУТИ.- Новосибирск, 2009 г. - с.98**).

განსახილველ შემთხვევაში ხმაურის დონეთა შორის სხვაობა შეადგენს 35,66-30,25=5,41დბა-ს.

ΔL-ის შესაბამისი მნიშვნელობა ცხრილი 1.8-ის მიხედვით 1,1-ის ტოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის ჯამური დონე იქნება 35,66+1,1=36,76დბა.

როგორც 6.2. პარაგრაფში იყო ნათქვამი, იმის გათვალისწინებით, რომ დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების დონიდან 28 მ სიმაღლეზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით განთავსებულია კაპიტალური შენობები, ტყის კორომი, მდინარე ყვირილას ხეობა, რაც ხელს უწყობს ხმაურის დონის შემცირებას 5-10 დეციბელით, ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საპროექტო საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35 დბა). საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

წყლის რესურსებზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან განსახილველ ობიექტზე არ წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები. წყალაღება დაგეგმილია მიწისქვეშა წყლის ობიექტიდან. მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა მოწყობილია შპს „ალპედეს“ ტერიტორიაზეც. საწარმოს წყალაღება შეადგენს დღეში 319 ლ-ს, რაც იმდენად მცირეა, რომ ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე. შესაბამისად, კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ნარჩენებით გარემოს დაბინძურებას, აღნიშნული მოსალოდნელია, თუ როგორც საპროექტო, ასევე უკვე არსებული ობიექტებიდან მოხდება ტერიტორიაზე ნარჩენების გაფანტვა, რაც ნარჩენების არასწორი მართვის შედეგია. კომპანიიების ნარჩენების მართვის გეგმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში გამორიცხულია გარემოს დაბინძურების კუმულაციური ეფექტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი და შემარბილებელ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

6.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

7. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

შპს „ნიავი“-ს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს ექსპლუატაცის შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 7.1.

ცხრილი 7.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	ბუნებრივი გარემო	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	დაბალი უარყოფითი
1.2.	ხმაური	დაბალი უარყოფითი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესუსები	არაა მოსალოდნელი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.9.	კუმულაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	სოციალურ–ეკონომიკური გარემო	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	დაბალი უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	საშუალო დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	საშუალო დადებითი

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 32.11.32.395**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892021053409 - 09/12/2021 09:48:56

მომზადების თარიღი
15/12/2021 16:41:23

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ზესტაფონი	I სვირი		
32	**11**	**32**	**395**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 7518.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**32.11.32.002; 32.11.32.366;**

მისამართი: რაიონი ზესტაფონი , სოფელი პირველი სვირი ; რაიონი ზესტაფონი , სოფელი I სვირი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010905804 , თარიღი 02/12/2010 13:19:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/12/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N2228 , დამოწმების თარიღი:08/10/2009 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი იმერეთის სამხარეო სამმართველო
- საკუთრების უფლების მოწმობა N577 , დამოწმების თარიღი:17/09/2019 , ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
- საქართველოს კანონი " სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისარასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ"

მესაკუთრეები:
გივი დეკანოიძე ,P/N: 18001012547

მესაკუთრე:
გივი დეკანოიძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.

იჯარის ხელშეკრულება

ქ. ზესტაფონი 10 დეკემბერი, 2021წ.

მუხლი1. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1 **მეიჯარე** – გივი ბიძინას ძე დეკანოიძე (პ/ნ 18001012547) მცხოვრები ზესტაფონი სოფელი პირველი სვი

1.2**მოიჯარე** – შპს „ნიავი"; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმ; შეზღუდული პასიხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ზესტაფ; სოფელი პირველი სვირი, რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) №230040808, წარმოდგენილი მისი დირექტო; ბ-ნი გივი დეკანოიძე-ს სახით

მუხლი 2.ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით, მეიჯარე იჯარით გასცემს და მოიჯარე თანხმობას აცხადებს, წინამდებ; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და საიჯარო ქირის გადახდის სანაცვლოდ, იჯარ; დროებით სარგებლობაში აიღოს მეიჯარის საკუთრებაში არსებული და წინამდებრე ხელშეკრულების ; მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

მუხლი 3. საიჯარო ქონება

3.1 საიჯარო ქონებას წარმოადგენს გივი დეკანოიძის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, მდებ; საქართველო ზესტაფონი სოფელი პირველი სვირი მიწის (უძრავი ქონების) მონაცემებით: ზონა 32 სექტო; 11 კვარტალი 32 ნაკვეთი 395. (ფართი 400კვ. მეტრი) .

3.2 მეიჯარის განცხადებით,საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მას. რაც დასტურდ; ამონაწერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (მი; ნაკვეთის საკადასტრო კოდი №32.11,32,395)

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას,მოიჯარეს გადასცეს უფლებრი; და ნიეთობრივად უნაკლო საიჯარო ქონება.

3.4.„უფლებრივად უნაკლო" საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას,რომ მესამე პირს არა ა; და არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს საიჯარო ქონების გამო.

3.5 მეიჯარე საიჯარო ქონებას მოიჯარეს გადასცემს მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 დ; განმავლობაში

3.6 მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას საიჯარო ქონების გადაცემამდე შეამოწმონ მისი მდგომარეობა დარწმუნდნენ, რომ საიჯარო ქონება იმყოფება ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, კარგ მდგომარეობა; არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებად ვარგისი და ფუნქციონალური.

მუხლი 4.საიჯარო ქონების სარგებლობა

4.1 მოიჯარემ საიჯარო ქონება უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობისათვის.

მუხლი 5. ქირა და მისი გადახდის წესით

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით საიჯარო ქირა განისაზღვრება თვეში 500 ლარის ოდენობით

5.2 საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

მუხლი 6.იჯარის ვადა

წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული იჯარის საერთო ვადა განისაზღვრება, 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 7. საიჯარო ქონების მოვლა,მიმდინარე რემონტი და კაპიტალური ხარჯები

7.1 მოიჯარე ვალდებულია იზრუნოს საიჯარო ქონების სათანადო მოვლისათვის და უზრუნველოს მ ჯეროვანი მოვლა-პატრონობა.

7.2 მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლო კურძოდ, დაიცვას მოიჯარე ნებისმიერი მესამე პირის არამართლზომიერი ჩარევისგან, საიჯარო ქონებ სარგებლობით ხელის შეშლისაგან და სხვა

მუხლი 8.იჯარის შეწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იჯარა წყდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

8.1.1 იმ ვადის გასვლისთანავე, რომელიც აღნიშნულია მე-6 მუხლში(თუ არ მოხდა იჯარის ვადის გაგრძელება მოიჯარის მიერ)

81.2 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;

8.2 მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა , მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარისათვის ოცდა კალენდარული დღით ადრე შეტყობინების მიცემის შემდეგ ვადამდე ცალმხრივად მოშალოს წინამდებ ხელშეკრულება.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

9.1 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლო შესაბამისად.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრ შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება

10.2 „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელ გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელ დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ „კერძ წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუ და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

10.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილ სასამართლო

მუხლი 11. მოიჯარის მიერ თავისი უფლებების დაცვა

თუ მოიჯარეს ხელი შეეშლება თავისი უფლებების განხორციელებაში, მაშინ ამის თავიდან ასაცილებლ მას შეუძლია ისარგებლოს მართლზომიერი მფლობელის უფლებამოსილებით.

მუხლი12. დავების გადაწყვეტა

12.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთ შეთანხმებით.

12.2 თუ მხარეები ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის დავის წამოჭრის შესახებ შეტყობინე გაგზავნის თარიღიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწე შეთანხმებას, მაშინ დავას განიხილავს და საბოლოოდ გადაწყვეტავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლო შესაბამისად.

მუხლი 13.დამატებითი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„მეიჯარე",
გივი დეკანოიძე
პ/ნ 18001012547
მცხ. სოფელი პირველი სვირი

მოიჯარე"
შპს „ნიავი"
ს/კ 230040808
მისამართი: ზესტაფონი სოფელი პირველი სვირი

დირექტორი: გ. დეკანოიძე

დანართი 3. სამინისტროს 2022 წლის 12 იანვრის N206/01 წერილი.

საქართველოს
GEORGIA

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 206/01
12/01/2022

206-01-2-202201121506

შპს „ნიავს"
მის: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №217

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 დეკემბრის N23099 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სქემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილი და საწარმოს დანადგარები მოქცეულია სახელმწიფო ელექტროგადამცემი სისტემის 220 კვ ძაბვის ეგხ „სურამის" დაცვის ზონაში, რის გამოც აღნიშნული ტერიტორიაზე მანამდე არსებული შპს „ალპედეს" სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმოს დემონტაჟი განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმებთან დავსებადობის ინფორმაცია და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისემის პოზიცია მითითებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- განცხადებაში წარმოდგენილი, საწარმოს შესახებ ზოგადი ცნობების ცხრილის მიხედვით ქვიშა-ხრეშის დამუშავება ხდება მშრალი მეთოდით, თუმცა ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ბუნკერში მიწოდების დროს გათვალისწინებულია ნედლეულის დანამვა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

დანართი 4. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 2022 წლის 09 თებერვლის N481/05 წერილი.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 481/05

481-05-2-202202091216

09/02/2022

შპს ,, ნიავი"-ს დირექტორს ბატონ გივი დეკანოიძეს
მის: მის: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ N217
ტელეფონი: 551 88 83 33

ბატონო გივი,

გაცნობებთ რომ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემი"–ს (სსე) მიერ შესწავლილია თქვენი 20.01.2022 წლის N322 წერილი, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ სვირში მდებარე N32.11.32.395 მიწის ნაკვეთზე სამსხვრევი საწარმოს გადატანაზე თანხმობას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

N32.11.32.395 მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი მოქცეულია სსე–ს საკუთრებაში არსებული 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სეგხ) ,,სურამი"-ს სადენების ქვეშ და ხაზის დაცვის ზონაში, ასევე თქვენს მიერ გამოგზავნილი კოორდინატების მიხედვით (X-332613 ; Y-4665143) სამსხვრევის საწარმოს გარკვეული ნაწილიც ხვდება დაცვის ზონაში (იხ. დანართი 1).

აქვე გაცნობებთ, რომ 220 კვ ძაბვის ხაზობრივი ნაგებობა **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"** საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ. N257 დადგენილების მუხლი 50-ის „მე-2" პუნქტის „ჯ" ქვეპუნქტის მიხედვით არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, რომელიც ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით. **„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"**-ს 96-ე მუხლის „1-ლი" პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს მე-5 კლასის ნაგებობის სტატუსი. შესაბამისად, სეგხ-ს დაცვის ზონაში სამუშაოების ჩატარებისთვის კანონმდებლობით დადგენილია დაცვის სპეციალური ზომები, რაც რეგულირდება **საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ".**

აღნიშნული დადგენილებით 220 კვ ძაბვის სეგხ–ისათვის დაცვის ზონად დადგენილია საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 25 (ოცდახუთი) მეტრით.

სეგხ-ს „სურამი“-ს დაცვის ზონაში სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც სეგხ გამორთვა ან/და დაზიანება და მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის შეწყვეტა, ისე ადგილზე მომუშავე ადამიანების ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე უარყოფითი გავლენა. ვინაიდან, სეგხ „სურამი“-ს უსაფრთხო ფუნქციონირება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამუშაოს შემსრულებლის მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ხაზის ავარიული გამორთვა, მოკლე შერთვა და სხვა, თავის მხრივ გამოიწვევს არაერთი მომხმარებლისათვის ელ. ენერგიის მიწოდების შეწყვეტას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსე ვერ გასცემს თანხმობას 220 კვ სეგხ „სურამი“-ს დაცვის ზონაში სამსხვრევი საწარმოს მშენებლობაზე მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

გთხოვთ, აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით დააკორექტიროთ თქვენი მოთხოვნა, დაგვიზუსტოთ ხაზის დაცვის ზონაში მანქანა-მექანიზმების გადაადგილების მარშუტი და წარმოგვიდგინოთ სსე-ში შესათანხმებლად.

დანართი 1: ნახაზი, 1 ფურცელი.

პატივისცემით,

უჩა უჩანეიშვილი

გენერალური დირექტორი

დანართი 5. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 15.03.2022 წლის N1111/05 წერილი.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str.,Tbilisi 0105, Georgia; ს/კ/I/N 204995176; ტელ/ფაქსი/Tel/fax: +995 332 983704; +995 3222 510101;

N 1111/05

1111-05-2-202203151306

15/03/2022

შპს ,, ნიავი"-ს დირექტორს ბატონ გივი დეკანოიძეს
მის: მის: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ N217
ტელეფონი: 551 88 83 33

ბატონო გივი,

გაცნობებთ რომ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემი"–ს (სსე) მიერ შესწავლილია თქვენი 21.02.2022 წლის N1053 წერილი, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ სვირში მდებარე N32.11.32.395 მიწის ნაკვეთზე სამსხვრევი საწარმოს გადატანაზე თანხმობას (კორექტირებულ ვერსია). აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

N32.11.32.395 მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი მოქცეულია სსე–ს საკუთრებაში არსებული 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სეგხ) ,,სურამი"-ს სადენების ქვეშ და ხაზის დაცვის ზონაში, ხოლო თქვენს მიერ გამოგზავნილი კორექტირებული კოორდინატების მიხედვით (განთავსების კოორდინატები X-332576 ; Y-4665160) სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ხაზის დაცვის ზონის მიღმა (იხ. დანართი).

აქვე გაცნობებთ, რომ 220 კვ ძაბვის ხაზობრივი ნაგებობა **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"** საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ. N257 დადგენილების მუხლი 50-ის „მე-2" პუნქტის „ჯ" ქვეპუნქტის მიხედვით არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, რომელიც ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით. **„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"**-ს 96-ე მუხლის „1-ლი" პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს მე-5 კლასის ნაგებობის სტატუსი. შესაბამისად, სეგხ-ს დაცვის ზონაში სამუშაოების ჩატარებისთვის კანონმდებლობით დადგენილია დაცვის სპეციალური ზომები, რაც რეგულირდება **საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული**

ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ".

ამავე დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონად დადგენილია, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 220 კვ ძაბვის სეგხ-ს შემთხვევაში 25 (ოცდახუთი) მეტრით.

1. მიწათმოსარგებლე ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ელექტრული ქსელის ხაზობრივ ნაგებობებთან მომსახურე პერსონალისა და ტექნიკის შეუფერხებელ მისვლას.

2. სეგხ–ის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის შეუფერხებელი მუშაობის მოშლა (აკრძალულ სამუშაოთა ჩამონათვალი იხილეთ წესების მე–4 მუხლის პირველ პუნქტში);

3. აკრძალულია სეგხ–ის დაცვის ზონაში რამე სახის შენობა–ნაგებობის განთავსება და ნებისმიერი დანიშნულების ადამიანთა/ცხოველთა თავშესაყრელი ადგილების მოწყობა;

4. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში აკრძალულია ჭავლსატყორცნი სარწყავი სისტემის და სარწყავების მოწყობა გაშხეფების გზით; ასევე დაცვის ზონაში აკრძალულია ინერტული ან სხვა მასალის დასაწყოება;

5. უპირობოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სეგხ–ის ანძებთან, სადენებთან და ხაზის ნებისმიერ მონაკვეთთან მისასვლელი გზების არსებობა-შენარჩუნება, დღე–ღამის ნებისმიერ დროს მანქანა–მექანიზმების თავმოყრისა და ხაზის გეგმიური/კაპიტალური შეკეთების, გადაიარაღების, ავარიულ–აღდგენითი სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების შესაძლებლობით;

6. დაცვის ზონაში მიწის ნაკვეთი დასაშვებია შემოიღობოს მსუბუქი/მარტივი სახის შემოღობვით: დენგაუმტარი, დიელექტრიკული მასალისაგან, ხოლო, მიწის ნაკვეთის დენგამტარი მასალით შემოღობვის შემთხვევაში, დაცული იქნეს შესაბამისი მოთხოვნები (დამიწების კონტურის მოწყობა და სხვა) რათა, თავიდან იქნას აცილებული ძაბვის გადასვლა შემოღობვაზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შემოღობვის დაუბრკოლებლად გახსნა, მანქანა მექანიზმების გადაადგილებისათვის.

7. სეგხ-ის დაცვის ზონაში ცალკეული სამუშაოები (შესაბამისი პირობების დაცვით) შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. უსაფრთხოების მიზნით, სამუშაოთა წარმოებისას სავალდებულოა ელექტრული ქსელის მფლობელი პირის წარმომადგენლის დასწრება;

8. მიწის ნაკვეთი, რომელიც მოქცეულია სეგხ–ის დაცვის ზონაში, დასაშვებია გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით 1 წლიანი მცენარეების და მრავალწლიანი 4 მ-მდე სიმაღლის ხეების ნარგავებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9. სეგხ-ის სადენების ქვეშ, დაცვის ზონაში და მის სიახლოვეს სამუშაოთა წარმოებისას ნებისმიერ შემთხვევში,სავალდებულოდ დაცული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები") სხვა დანარჩენი მოთხოვნებიც.

ზემოაღნიშნული პირობების განუხრელად შესრულების ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, სსე წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს N32.11.32.395 მიწის ნაკვეთებზე სამსხვრევი საწარმოს მშენებლობა თქვენს მიერ გამოგზავნილი კოორდინატების მიხედვით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უფლებას იტოვებს, მოქმედი წესებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების უგულებელყოფის შემთხვევაში მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

დანართი: სიტუაციური გეგმა - 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

გიორგი გიგინეიშვილი

გენერალური დირექტორი


10
146
11
35
321032395
12
145
13
14
144
ანასთან მისასვლელი გზა
Source: Esri, DigitalGlobe, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus DS, USDA, USGS, AeroGRID, IGN, and the GIS User Community

დანართი 6. პასუხები გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილით გამოგზავნილ კითხვებზე

N	კითხვა	პასუხი
1	დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობისა და ტერიტორიის დახასიათებაში“ მითითებულია, რომ ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებულია ახალი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟი, ხოლო „მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მიმართ საწარმოს განთავსების“ თავში აღნიშნულია, რომ დაკორექტირდა ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობის ადგილი და მათი განთავსება მოხდება ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის გათვალისწინებით. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამახარისხებელი მოწყობილობების განთავსების საკითხი, საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;	დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია, რომ „ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებულია ახალი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟი’ - შეესაბამება რეალობას. სკრინინგის ეტაპზე, სამინისტროს N206/01 წერილის შესაბამისად, კომპანიამ მიმართა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების ადმინისტრაციას, ობიექტის განთავსების შესათანხმებლად. ელექტროსისტემების სამმართველოს მოთხოვნით, საწარმოს განთავსების ადგილი ექვემდებარება კორექტირებას. ობიექტის გადატანა სახელმწიფო ელექტროსისტემებთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე განხორციელდება სკრინინგის პროცედურის გავლის შემდეგ.
2	დოკუმენტში ნათლად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე ქვიშა-ხრეშის გადამუშავების სრული ციკლი	ტექნოლოგიის სრული ციკლი შედგება მხოლოდ ნედლეულის მსხვრევისა და ერთი (0-40) ფრაქციის ღორღის მიღებისაგან. ტექნოლოგიური სქემა დამატებულია სკრინინგის განაცხადში.
3	დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოში შემოტანილი ნედლეულისა	საქართველოში ტვირთების ტრანსპორტირება რეგულირდება

	და მზა პროდუქციის განთავსების, ასევე ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძარის გადახურვის შესახებ;	საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“-თ, რომელთა შესაბამისად, საყარი ტვირთი ისე უნდა იქნეს დატვირთული, რომ მისი ტრანსპორტირებისას გამორიცხული იქნას გადმოყრის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული წესების კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ტრანსპორტირების წესის დაცვა ევალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს. ზემოაღნიშნული რეგულაციები გამორიცხავს საწარმომდე და საწარმოდან ტვირთების ტრანსპორტირებას ძარის გადახურვის გარეშე. რაც შეეხება ნედლეულის და პროდუქციის განთავსებას, ბაქნების მდებარეობა დატანილია გენ-გეგმაზე (ნახაზი 4.1.).
4	სკრინინგის განცხადებაში მითითებულია რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ქარიანი და ცხელი ამინდის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის დასანამად გათვალისწინებულია ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება (54 $მ^3$ /წელ). დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია ტექნიკური მიზნით აღებული წყლის დასაგროვებლად გათვალისწინებული	კომპანიას ავტოგასამართის ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომლიდანაც წყლის ამოსაღებად დაყენებულია ტუმბო. ტუმბო ირთვება წყალზე მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნულის გამო ტექნიკური წყლის სამარაგო ავზი გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული ინფორმაცია დაემატა

	რეზერვუარის/ავზის შესახებ	სკრინინგის განაცხადში.
5	სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ტერიტორიის სანიაღვრე წყლებისაგან დაცვის მიზნით მოწყობილია წყალამრიდები, ხოლო საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში“. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და მისი შემდგომი მართვის საკითხი	სანიაღვრე წყალამრიდი არხების გამო მოსალოდნელი არ არის სანიაღვრე წყლების ტერიტორიიდან გადასვლა, შესაბამისად არ იგეგმება მისი შემდგომი მართვა. საკითხის შესახებ დამატებითი განმარტებები გაკეთდა სკრინინგის განაცხადში
6	დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ	ნარჩენების სახეობების, რაოდენობებისა და მართვის შესახებ ინფორმაცია დაემატა სკრინინგის ანგარიშს.